დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 23 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №187/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2023 წლის 19 ოქტომბერს მოსამართლე -- -- მიმართ მიღებულია -- -- №187 საჩივარი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 1 ივლისის №114/22 გადაწყვეტილებით, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, შეწყდა -- -- 2022 წლის 27 ივნისის №114 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- მიერ 2022 წლის 27 ივნისს და 2023 წლის 19 ოქტომბერს წარმოდგენილი საჩივრები შეეხება მოსამართლე -- -- მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს გამოტანილი განაჩენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით წარმოადგენს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს.

ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი განმეორებით ვერ იმსჯელებს მოსამართლე -- -- მიმართ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით. შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- უარი ეთქვას №187/23 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი